

არასრულწლოვანთა დაკითხვის წესი - ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა¹

ალბანეთი

მუხლი 35

არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის უზრუნველყოფილი დახმარება
(ექვმიტანილი პირი)

1. არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლებრივი და ფსიქოლოგიური დახმარება, რაც მისი მშობლის ან არასრულწლოვნის მიერ მოთხოვნილი სხვა პირის თანდასწრებით უნდა განხორციელდეს.

2. საქმის მწარმოებელმა ხელისუფლების ორგანომ შეიძლება განახორციელოს სხვადასხვა ქმედება და, აგრეთვე, შეადგინოს დოკუმენტები, რაც საჭიროებს არასრულწლოვნის მონაწილეობას ამ მუხლის 1-ელ ნაწილში მითითებული პირების გარეშე, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულის განხორციელება არასრულწლოვნის ინტერესს წარმოადგენს ან თუ მისმა გადადებამ შესაძლოა სამართალწარმოებას სერიოზული ზიანი მიაყენოს. თუმცა ეს ყოველთვის ადვოკატის თანდასწრებით უნდა მოხდეს.

ხორვატია

მუხლი 285

ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან გათავისუფლებულნი არიან შემდეგი პირები:

4) არასრულწლოვანი, რომელიც ასაკისა და გონებრივი განვითარებიდან გამომდინარე ვერ აცნობიერებს ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან გათავისუფლების უფლების მნიშვნელობას, არ შეიძლება მოწმის სახით დაიკითხოს. მიუხედავად ამისა, ექსპერტების, ნათესავების ან სხვა პირების მეშვეობით მისგან მოპოვებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულების სახით.

არასრულწლოვანთა სასამართლოს აქტი

მუხლი 48

1) არასრულწლოვნის წინააღმდეგ საქმე არ შეიძლება განხილულ იყოს მისი მონაწილეობის გარეშე.

¹ მასალა მომზადებულია სხვადასხვა ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიხედვით.

2) არასრულწლოვნის დაკითხვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმის უზრუნველყოფას, რომ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება მხედველობაში იღებს არასრულწლოვნის გონებრივი განვითარების დონეს და პიროვნულ მახასიათებლებს, და საფრთხეს არ უქმნის მისი პიროვნების განვითარებას.

ესტონეთი

§ 68. მოწმეთა დაკითხვა

1) მოწმეებს უნდა განემარტოთ მათი უფლებები და ვალდებულებები, აგრეთვე, მათი უფლება, ჩვენების წერილობით წარდგენის თაობაზე.

2) 14 წელს მიუღწეველ მოწმეებს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე უნდა მიეცეთ გაფრთხილება ჩვენების მიცემაზე უარის თქმის და განზრახ ცრუ ჩვენების მიცემის შესახებ და მოწმეებმა ამის გაცნობიერების დასადასტურებლად ხელი უნდა მოაწერონ. საჭიროების შემთხვევაში მოწმეს უნდა განემარტოს, რომ განზრახი დუმილი იმ ფაქტების შესახებ, რომლის თაობაზეც ის ინფორმაციას ფლობს, შეიძლება ჩვენებაზე უარის თქმად იქნეს მიჩნეული.

§ 70. არასრულწლოვანი მოწმეების დაკითხვასთან დაკავშირებული სპეციფიკა

1) დაკითხვის განმახორციებელმა ორგანომ შესაძლოა, არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის პროცესში ჩართოს ბავშვთა დაცვის ხელისუფლების ორგანო, სოციალური მუშაკი, მასწავლებელი ან ფსიქოლოგი.

2) იმ შემთხვევაში, თუ დაკითხვის განმახორციებელი ორგანოს წარმომადგენლებს გავლილი არ აქვთ სპეციალური სწავლება, ბავშვთა დაცვის, სოციალური მუშაკის, მასწავლებლის ან ფსიქოლოგის აღნიშნულ პროცესში ჩართულობა სავალდებულოა, თუ

ა) მოწმე 10 წლის ასაკს მიუღწეული პირია და განმეორებითმა დაკითხვამ შესაძლოა მასზე, როგორც არასრულწლოვანზე, მავნე ზეგავლენა მოახდინოს;

ბ) მოწმე 14 წლის ასაკს მიუღწეული პირია და დაკითხვა დაკავშირებულია სექსუალურ ან ოჯახურ ძალადობასთან;

გ) მოწმე ყრუ-მუნჯი ან ფსიქიკურად აშლილია.

3) საჭიროების შემთხვევაში ხდება არასრულწლოვნის დაკითხვის ვიდეო ჩაწერა. ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულ შემთხვევაში, არასრულწლოვანთა დაკითხვის ვიდეო ჩაწერა ხორციელდება, თუ იგეგმება აღნიშნული მტკიცებულების სასამართლო პროცესზე წარდგენა, ვინაიდან არასრულწლოვნის პირდაპირ სასამართლო პროცესზე დაკითხვა, მისი ასაკიდან და ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელია.

4) ექვმიტანილს უფლება აქვს წინასასამართლო ეტაპზე გაეცნოს ამ მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულ ვიდეო ჩანაწერს. ექვმიტანილს ან მის ადვოკატს უფლება აქვთ

ჩანაწერის გაცნობიდან 5 დღის განმავლობაში მოწმეს შეკითხვები წარუდგინონ. პროკურატურამ მიღებიდან 5 დღის განმავლობაში უნდა განიხილოს აღნიშნული მოთხოვნა. აღნიშნულ მოთხოვნაზე უარი უნდა გაფორმდეს ბრძანების სახით, რომლის ასლიც უნდა გაეგზავნოს მოთხოვნის წარმდგენ პირს. მოთხოვნაზე უარი არ უნდა გამოირიცხავდეს მოთხოვნის ხელმოწერედ დაყენების შესაძლებლობას.

§ 290¹. წინასასამართლო ეტაპზე არასრულწლოვანი მოწმეების მიერ მიცემულ ჩვენებასთან დაკავშირებული სპეციფიკა

1) სასამართლომ შეიძლება მხარის მოთხოვნით სასამართლო პროცესზე არ გამოიძახოს არასრულწლოვანი მოწმე და დაუშვას წინასასამართლო ეტაპზე არასრულწლოვანის მიერ მტკიცებულების სახით მიცემული ჩვენების წარმოდგენა, გამომდინარე იქედან, რომ ჩვენება ვიდეოჩანაწერის სახით არის და რომ ადვოკატს წინასასამართლო ეტაპზე მტკიცების საგანთან დაკავშირებული ფაქტების შესახებ ჰქონდა მოწმისათვის შეკითხვების დასმის შესაძლებლობა, თუ:

ა) მოწმე 10 წლის ასაკს მიუღწეული პირია და განმეორებითმა დაკითხვამ შესაძლოა მასზე, როგორც არასრულწლოვანზე, მავნე ზეგავლენა მოახდინოს;

ბ) მოწმე 14 წლის ასაკს მიუღწეული პირია და დაკითხვა დაკავშირებულია სექსუალურ ან ოჯახურ ძალადობასთან;

გ) მოწმე ყრუ-მუნჯი ან ფსიქიკურად აშლილია.

2) თუ სასამართლო ამ მუხლის 1-ელ ნაწილში მითითებულ ჩვენებასთან დაკავშირებით დაადგენს, რომ აუცილებელია არასრულწლოვანისათვის დამატებითი გარემოებების შესახებ შეკითხვების დასმა, სასამართლომ შესაძლოა თავად დაკითხოს მოწმე თავისი ინიციატივით ან სამართალწარმოების მხარეების მიერ მომზადებული წერილობითი კითხვების საფუძველზე.

ლატვია

მუხლი 152. არასრულწლოვანის დაკითხვასთან დაკავშირებული სპეციფიკა

1) არასრულწლოვანის დაკითხვის ხანგრძლივობამ ოცდაოთხსაათიანი პერიოდის განმავლობაში არასრულწლოვანის თანხმობის გარეშე არ უნდა გადააჭარბოს ექვს საათს, რომელიც მოიცავს შესვენებას.

(2) არასრულწლოვანი, რომელსაც არ მიუღწევია 14 წლის ასაკს ან, საგამომიებო მოქმედებების განმახორციელებელი პირის დისკრეციის საფუძველზე, ნებისმიერი არასრულწლოვანი, უნდა დაიკითხონ პედაგოგის ან ფსიქოლოგის თანდასწრებით, რომლებმაც სპეციალური სწავლება გაიარეს იმისათვის, რომ სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებაში ფსიქოლოგის ფუნქცია შეესრულებინათ. არასრულწლოვანის ერთ-ერთ კანონიერ წარმომადგენელს, ახლო ნათესავს ან მეურვეს დაკითხვაში მონაწილეობის უფლება აქვთ თუ არასრულწლოვანი მათი მონაწილეობის თაობაზე თანხმობას განაცხადებს. აღნიშნული პირები არ უნდა იყვნენ დანაშაულში

ექვიმიტანილი, პატიმრობაში მყოფი პირები ან ბრალდებულები, აგრეთვე ის პირები, რომელთა წინააღმდეგაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. არასრულწლოვნის ერთ-ერთ კანონიერ წარმომადგენელს, ახლო ნათესავს ან მეურვეს საგამომიებო მოქმედებების განმახორციელებელი პირის თანხმობით შეუძლიათ კითხვა დაუსვან პირს, რომლის დაკითხვაც მიმდინარეობს.

3) არასრულწლოვანს, რომელსაც ჯერ არ შესრულებია 14 წელი, ჩვენებაზე უარის თქმასთან ან ცრუ ჩვენების მიცემასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილება არ უნდა მიეცეს.

4) თუ ფსიქოლოგი მიუთითებს, რომ იმ არასრულწლოვნის ფსიქიკა, რომელსაც ჯერ არ შესრულებია 14 წელი, იმ არასრულწლოვნის ფსიქიკა, რომელიც იმ პირის მიერ ჩადენილი ძალადობის დაზარალებულად ცნეს, რომელზეც იგი მატერიალურად ან სხვაგვარად არის დამოკიდებული ან იმ არასრულწლოვნის ფსიქიკა, რომელიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლია, შეიძლება დაზიანდეს განმეორებითი პირდაპირი დაკითხვისას, ასეთი პირდაპირი დაკითხვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ გამომძიებელი მოსამართლის თანხმობით, მხოლოდ სასამართლოში-სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 153. არასრულწლოვნის დაკითხვა ფსიქოლოგის დახმარების მეშვეობით

(1) თუ ფსიქოლოგი მიიჩნევს, რომ იმ არასრულწლოვნის ფსიქიკა, რომელსაც ჯერ არ შესრულებია 14 წელი, იმ არასრულწლოვნის ფსიქიკა, რომელიც იმ პირის მიერ ჩადენილი ძალადობის დაზარალებულად ცნეს, რომელზეც იგი მატერიალურად ან სხვაგვარად არის დამოკიდებული ან იმ არასრულწლოვნის ფსიქიკა, რომელიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლია, შეიძლება პირდაპირი დაკითხვის შედეგად დაზიანდეს, ასეთი პირდაპირი დაკითხვა უნდა განხორციელდეს ტექნიკური ღონისძიებებისა და ფსიქოლოგის დახმარებით. თუ გამომძიებელი ან სახელმწიფო გამომძიებელი თანახმა არ არის, პირდაპირი დაკითხვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ გამომძიებელი მოსამართლის თანხმობით და სასამართლოში - სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით.

(2) პირი, რომელიც წარმართავს დაკითხვის პროცესს და მის მიერ მოწვეული მეორე პირი მოთავსებულები უნდა იყვნენ სხვადასხვა ოთახში, სადაც ტექნიკურმა საშუალებებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პირი, რომელიც უნდა დაიკითხოს და, აგრეთვე, ფსიქოლოგი გამოჩნდებიან და მათ ხმას გაიგონებენ. პირი, რომელსაც კითხავენ ფსიქოლოგთან ერთად მოთავსებული უნდა იყოს ოთახში, რომელიც არასრულწლოვანთან დიალოგის წარმართვის შესაფერისი უნდა იყოს და სადაც

ტექნიკურად უზრუნველყოფილი იქნება, რომ იმ პირის შეკითხვები, რომელიც დაკითხვის პროცესს წარმართავს, მხოლოდ ფსიქოლოგს ესმოდეს.

(3) თუ იმ პირს, რომელიც უნდა დაიკითხოს, ჯერ არ შესრულებია 14 წელი, ფსიქოლოგმა, კონკრეტული პირობების თანახმად, არასრულწლოვანს უნდა აუხსნას იმ პროცედურის საჭიროება, რომელსაც ადგილი აქვს და, აგრეთვე, იმ ინფორმაციის მნიშვნელობა, რომელსაც ეს არასრულწლოვანი წარადგენს. ფსიქოლოგმა უნდა შეაფასოს პერსონალური მონაცემები, შეკითხვები დაუსვას დაკითხვის წარმმართველ პირს იმ ფორმით, რაც შეესაბამება არასრულწლოვანის ფსიქიკას და, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია მიაწოდოს მას საგამომიებო მოქმედების შეჩერების და შემდგომი განახლების თაობაზე.

(4) თუ იმ პირს, რომელიც უნდა დაიკითხოს, უკვე შეუსრულდა 14 წელი, დაკითხვის წარმმართველმა პირმა, ფსიქოლოგის დახმარების მეშვეობით, უნდა მიაწოდოს ინფორმაცია შესასრულებელი საგამომიებო მოქმედების არსის შესახებ, უნდა მოახდინოს ამ არასრულწლოვანის პერსონალური მონაცემები შეფასება, აუხსნას მას მისი უფლებები და მოვალეობები და შეატყობინოს აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა. აგრეთვე, ფსიქოლოგმა, დაკითხვის წარმმართველ პირს შეკითხვები უნდა დაუსვას იმ ფორმით, რაც შეესაბამება არასრულწლოვანის ფსიქიკას და, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია მიაწოდოს მას საგამომიებო მოქმედების შეჩერების და შემდგომი განახლების თაობაზე.

(5) დაკითხვის მიმდინარეობის ჩაწერა უნდა განხორციელდეს ამ კანონის 141-143 მუხლების მოთხოვნების შესაბამისად.

ბულგარეთი

არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა

მუხლი 140.

1) არასრულწლოვანი მოწმე დაკითხულ უნდა იქნეს პედაგოგის ან ფსიქოლოგის და, საჭიროების შემთხვევაში, მშობლის ან მეურვის თანდასწრებით.

2) 14 წელს ზემოთ მყოფი არასრულწლოვანი მოწმე, თუ სათანადო ორგანო ამას აუცილებლად მიიჩნევს, 1-ელ მუხლში მითითებული პირების თანდასწრებით უნდა დაიკითხოს.

3) დაკითხვის წარმმართველი ორგანოს თანხმობით, 1-ელ მუხლში მითითებულ პირებს შეუძლიათ მოწმისათვის კითხვების დასმა.

4) 14 წლამდე არასრულწლოვან პირს დაკითხვის წარმმართველმა პირმა, პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილების მიცემის გარეშე, უნდა აუხსნას ნამდვილი ჩვენების მიცემის საჭიროება.

5) 14 წელს მიუღწეული, ისევე როგორც 14 წელს მიღწეული არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ვიდეოკონფერენციით.

არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულების განხილვის სპეციალური წესები

წინასასამართლო პროცედურა

მუხლი 385.

არასრულწლოვანი პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაში, წინასასამართლო ღონისძიებები უნდა განახორციელოს საგამომიებო ორგანოებმა, რომლებმაც გაიარეს სპეციალური სწავლება.

პედაგოგის ან ფსიქოლოგის მონაწილეობა არასრულწლოვანი პირების დაკითხვაში

მუხლი 388.

საჭიროების შემთხვევაში პედაგოგმა ან ფსიქოლოგმა მონაწილეობა უნდა მიიღოს არასრულწლოვანი ბრალდებულის დაკითხვაში, რომელთაც, გამომძიებელი ხელისუფლების ორგანოს მიერ თანხმობის შემთხვევაში, შეუძლიათ მას შეკითხვები დაუსვან. პედაგოგსა და ფსიქოლოგს უნდა ჰქონდეთ დაკითხვის ჩანაწერის გაცნობის და მასში სიზუსტესა და მისი შინაარსის ყოვლისმომცველობასთან დაკავშირებით შენიშვნების გაკეთების უფლება.

სასამართლო განხილვა

მუხლი 391.

1) არასრულწლოვნის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესი დახურული უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევისა თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის საჯაროდ განხილვის მიმართ არსებობს საზოგადოების ინტერესი.

2) სასამართლოს დისკრეციის მიხედვით, სასამართლო პროცესზე შეიძლება მოწვეულნი იქნენ იმ საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, სადაც არასრულწლოვანი სწავლობდა.

რუმინეთი

მუხლი 124

მოწმეთა დაკითხვის სპეციალური შემთხვევები

1) 14 წელს მიღწეული არასრულწლოვანი მოწმეების დაკითხვა უნდა განხორციელდეს მათი ერთ-ერთი მშობლის, მეურვის ან იმ ინსტიტუტის წარმომადგენლის თანდასწრებით, რომელთაც მინდობილი აქვთ არასრულწლოვნის აღზრდა და მისთვის განათლების მიცემა.

(2)თუ პირველ მუხლში ხსენებული პირები ვერ ესწრებიან დაკითხვას ან საქმეში მათ ექვემდებარებიან, ბრალდებულის, მსხვერპლის, ერთ-ერთი მხარის, სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე პირის ან მოწმის სტატუსი აქვთ ან თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ამ პირებმა შეიძლება გავლენა მოახდინონ არასრულწლოვნის ჩვენებაზე, აღნიშნული არასრულწლოვნების დაკითხვა უნდა განხორციელდეს მეურვეობის ორგანოს წარმომადგენლის ან იმ ნათესავის თანდასწრებით, რომელსაც სასამართლო ორგანოებმა სრული სამართლებრივი უფლებამოსილება მიანიჭა.

(3) თუ ისინი საჭიროდ მიიჩნევენ, მოთხოვნის ან *ex officio* საფუძველზე, სისხლისსამართლებრივი გამოძიების ორგანოებს ან სასამართლოს შეუძლიათ ბრძანება გასცენ, რომ არასრულწლოვნის დაკითხვას დაესწროს ფსიქოლოგის.

(4) არასრულწლოვანი მოწმეების დაკითხვისას თავიდან უნდა იქნეს არიდებული მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ნეგატიური ზეგავლენის მოხდენა.

(5) არასრულწლოვან მოწმეებს, რომელთაც ჯერ არ მიუღწევიათ 14 წლის ასაკს, არ უნდა ეცნობოთ ამ კოდექსის 120-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი ვალდებულებების შესახებ, არამედ უნდა მიეთითოთ, რომ მათ სიმართლე უნდა განაცხადონ.